პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი.

№ 239 (2959) ● კვირა, 5 დეკემბერი, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

კონსტიტუციის დღის სახელობისა

ნალჩიკი, 4 დეკემბერი. სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. კახიანის მეთაურობით მთამსვლელთა ჯგუფმა წარმატებით დაავგირგვინა ბეზინგის ხეობის მაღალმთიანეთში მდებარე ერთ-ერთი უსახელო მწვერვალის იერიში.

მიზნისაკენ მიმავალ გზაზე მამაც მთამსვლელებს დიდი სიძნელეების (ზვავები, ძლიერი ყინვა, ქარბუქი) გადალახვა მოუხდათ. ზამთრის პირობებში ეს უჩვეულო ასვლა 4 ათას მეტრამდე სიმაღლის მწვერვალზე ნამდვილად დიდი გმირობაა. მწვერვალზე, რომელსაც პირველამსვლელებმა „სსრ კავშირის კონსტიტუციის დღის სახელობისა“ უწოდეს, აფრიალდა ჩვენი ქვეყნის წითელი დროშა.

ვადამდე!

„განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ ვადამდე შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1965 წლის გეგმა-თვითვალდებულება ყველა მაჩვენებელში.

სპორტის ოსტატების, თანრიგოსნებისა და ფიზკულტურის საზოგადოებრივი კადრების მომზადება გრძელდება.

გ. გოდერძიშვილი,
„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭოთა ფეხბურთელები — საზღვარგარეთ

3:0
2:1
3:1
5:2

ტოკიო, 4 დეკემბერი. იაპონიაში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ჩემპიონებმა — მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა ფრედ დამთავრებული 2 მატჩის შემდეგ, როგორც იქნა, მოიგეს, ოღონდ არა იაპონურ კლუბთან, არამედ შვეციის „აიკთან“ (სტოკჰოლმი). ეს იყო „სამთა ტურნირის“ (იაპონიის ნაკრები, „აიკი“, „ტორპედო“) პირველი მატჩი. ანგარიშია 3:0. ბურთები გაიტანეს: შუსტიკოვმა და ივანოვმა (2).

დამასკო, 4 დეკემბერი. ცსკა-ს ფეხბურთელებმა აქ დაამარცხეს სირიის არმიის სპორტული კლუბის გუნდი — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლების ავტორები არიან კაშტანოვი და პოლიკარპოვი.

ბენგაზი, 4 დეკემბერი. ლიბიაში მეორე მატჩი გამართეს მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა. მათი მეტოქე იყო ქვეყნის აღმოსავლეთის რაიონების ნაკრები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:1.

ლაგოსი, 4 დეკემბერი. იბადანის „ვესტერნ როვერზს“ დიდი ანგარიშით მოუგეს ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელებმა — 5:2. ეს მათი მეორე მატჩია ნიგერიაში. აღსანიშნავია, რომ მეტოქეთა გუნდში შედიოდა ქვეყნის ნაკრების 6 მოთამაშე.

ჰ ი მ ნ ი
ჯანსაღი სულისა და სხეულისადმი

ყოველი ნაკვთი, სხეულის ყოველი ნაწილი ძალას, მოქნილობას, სიცოცხლის ჭაბუკურ ხალისს და სიყვარულს გამოხატავს. ესაა ჰიმნი ადამიანის ჯანსაღი სხეულისადმი; არა მარტო სხეულისადმი! უჩვეულო პლასტიკა მხოლოდ მოძრაობის ჰარმონიას კი არ გადმოსცემს, არამედ სულის ჰარმონიასაც — ჯანსაღი სხეულისა და სულის ჰარმონიას, ჩვენი სპორტსმენისათვის საუკუნეთა სიღრმიდან დამახასიათებელ და შესისხლხორცებულ რაინდულ ბუნებას, ვაჟკაცობას, ფალავნურ კეთილშობილებას, ქედმოუხრელ და ამაყ სულს...

ესაა მოქანდაკე ჯუნა მიქატაძის სკულპტურა „ქართველი ოლიმპიელი“, რომელიც შესანიშნავი განმაზოგადებელი ძალით, ეროვნული კოლორიტით წერს არა რომელიმე კონკრეტული სპორტული სახეობის წარმომადგენელს, არამედ საერთოდ ფალავანს, ჩვენი სპორტული დიდებისთვის მებრძოლსა და ღირსეულად დამაშვრალს, სწორედ — ქართველ ოლიმპიელს.

ქანდაკება ამჟამად სკულპტორის სახელოსნოში ინახება.



რედაქცია დაინტერესდა სპეციალისტთა აზრით. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სახალხო მხატვარს, რუსთაველის პრემიის ლაურეატს ლადო გუდიაშვილს და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს დამსახურებულ მხატვარს ჟანი მეძმარიაშვილს. აი, რა თქვეს მათ.

ლადო გუდიაშვილი: ჯუნა მიქატაძის ქანდაკებას „ქართველი ოლიმპიელი“ პლასტიკური ამოცანების გადაწყვეტისა და მხატვრულობის თვალსაზრისით უმაღლესი შეფასება უნდა მიეცეს. ნაწარმოები შესანიშნავადაა შესრულებული და მნახველს ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

ჟანი მეძმარიაშვილი: „ქართველი ოლიმპიელი“ პროფესიული ოსტატობითაა შექმნილი და მხატვრული თვალსაზრისით დიდ მოწონებას იმსახურებს. მაგრამ არის მეორე მხარე: სად შეიძლება ამ ქანდაკების დადგმა? კაცს უნებლიეთ წამოეჭრება: თბილისის რომელიმე სპორტულ ბაზასთან. მაგრამ აქ მთელი რიგი საკითხებია დასაზუსტებელი. ქალაქის ამა თუ იმ კუთხის ანსამბლის, ადგილობრივი კოლორიტისა და სხვა ფაქტორების ძალით ჩვენ რამდენიმეჯერ მოგვიხდა უკვე დადგმული სკულპტურის აღება და სხვა ადგილებზე გადატანა. ამასთან, თბილისის დიდ სპორტულ ბაზებს, მაგალითად, სპორტის სასახლეს, არქიტექტორთა მიერ ერთიანი ანსამბლი აქვს დაგეგმილი. როგორ შეუთავსდება მას ახალი, „გარეშე“ ქანდაკება? ახალ, სხვადასხვა სივრცობრივ მასშტაბსა თუ გარემოში ხომ არ დაკარგავს ნაწარმოები რაიმეს თავისი ღირსებებიდან? ამ საკითხებს გულდასმითი, დაბეჯითებული შესწავლა და გადაწყვეტა უნდა.

სკულპტურა ინახულეს ჩვენმა გამოჩენილმა, სასიქადულო სპორტსმენებმაც — **ნოდარ ჯორჯიკიამ, გივი კარტოზიამ და გურამ სალარაძემ.** მათი საერთო აზრია, რომ ჯ. მიქატაძის სკულპტურა როგორც მხატვრული, ისე წმინდად სპორტული თვალსაზრისითაც ჩინებული ნაწარმოებია და იგი უთუოდ დაამშვენებს ჩვენი დედაქალაქის იმ კუთხეს, სადაც მისი დადგმა გადაწყდება.

აი, რა განაცხადეს მათ:

„სხვადასხვა ასპარეზობის დროს ჩვენ მსოფლიოს ბევრი კუთხე მოგვივლია. ყოველ კულტურულ ქალაქში, სხვა ღირსშესანიშნაობათა შორის, თვალში გვეცემათ ძეგლთა სიუხვე. და ყოველ კულტურულ, მდიდარი ტრადიციების მქონე ქალაქში უეჭველად მოგტაცებთ თვალს სპორტულ თემაზე შექმნილი ქანდაკება, რომელიც სტუმარსა თუ ადგილობრივ მკვიდრს ხელოვნების საოცარი, ჯადოსნური ენით მოუთხრობს ადამიანის სხეულის სილამაზეზე, ხოტბას ასხამს ათლეტის ფიზიკურ და სულიერ სიმდიდრეს. ეს უბრალო ამბავი არ გახლავთ. ეს, ხელოვნებასა და ესთეტიკურ მხარესაც თავი რომ დავანებოთ, ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ყველაზე უფრო ქმედითი პროპაგანდაა ჯანსაღი სხეულისა და სულისა. და რა სამწუხაროა, რომ ჩვენი მშობლიური თბილისი, ასეთი მაღალი კულტურის წარსულისა და აწმყოს მქონე ქალაქი, ესოდენ ღარიბია ამ თვალსაზრისით. აი, სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ „ქართველმა ოლიმპიელმა“ აუცილებლად უნდა დაიმკვიდროს თავისი ღირსეული ადგილი დედაქალაქის ცხოვრებაში!“

სავსებით სწორი, სამართლიანი და დროული მოთხოვნაა!

მხატვრულ ტანვარჯიშეთა მსოფლიო ფორუმზე

●

ჩეხოსლოვაკიელთა ბრწყინვალე წარმატება

ჰ. მაჩეხოვა — ჩემპიონი

ტ. კრავჩენკოს „ვერცხლი“

პრაღა, 4 დეკემბერი. მხატვრულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. 38 ქალი ასპარეზობდა უსაგნოდ ვარჯიშებსა (სავალდებულო პროგრამა) და სახტუნავით ნებისმიერ ვარჯიშებში. პირველი ექვსეული ასე გამოიყურება: ჰ. მაჩეხოვა (ჩეხოსლოვაკია) — 18,7 ქულა; ლ. სავინკოვა (სსრ კავშირი) — 18,633; ჰ. ბოგუჩევსკა (ჩეხოსლოვაკია) — 18,6; ი. ბეროვა (ჩეხოსლოვაკია) — 18,533; ტ. კრავჩენკო (სსრ კავშირი) — 18,499; ლ. ნაზმუტდინოვა (სსრ კავშირი) — 18,366.

დღეს საღამოს გაიმართა შეჯიბრება უსაგნოდ ნებისმიერ ვარჯიშებსა და ბურთით ვარჯიშში.

კვლავ ბრწყინვალედ გამოვიდნენ მასპინძლები, რომლებმაც საუცხოო მომზადება გამოავლინეს. ასპარეზობის ლიდერმა მაჩეხოვამ შეინარჩუნა პოზიციები და მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი.

„ვერცხლი“ მოიხვეჭა კრავჩენკომ, ხოლო „ბრინჯაო“ — ბოგუჩევსკამ.

IV ადგილზეა ბეროვა, V — ნაზმუტდინოვა.

სურათზე: ტ. კრავჩენკო ბურთით ვარჯიშისას.

ფოტო ვ. ტუტოვისა.



◆ **ტ ა ლ ი ნ ი, 4 დეკემბერი.** მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. 2 პარტია ითამაშა ბიხოვსკიმ. მან წააგო სახაროვთან და მოუგო სიმაგინს. ტაიმანოვმა დაამარცხა კერესი. ბრონშტეინ — შტეინის, ლეპიოშკინ — კერესის, ხასინ — კორჩნოისა და შტეინ — ვასიუკოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ლიდერობს პოლუგაევსკი — 6 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან კერესი, ფურმანი და შტეინი — 5-5.

◆ **ბელცი, 4 დეკემბერი.** მოჭადრაკე ქალთა XXV საკავშირო ჩემპიონატის XII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — ბორისენკო და ზვორიკინა. პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი. აღინიშნა შეჯიბრების ლიდერის სკეგინასა და იდელჩიკის შეხვედრაში. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

◆ **ნ ო რ ი ლ ს კ ი, 4 დეკემბერი.** პოლარეთის ამ ქალაქში დაიწყო მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობს ფიზკულტურის კოლექტივების 500 სპორტსმენი. 1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა კონკურსგარეშე მოასპარეზე პ. ბოლოტნიკოვმა.

◆ **ჰ ე ლ ს ი ნ კ ი, 4 დეკემბერი.** ჭოკით ხტომაში მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა, ფინელმა სპორტსმენმა პ. ნიკულამ განაცხადა, რომ იგი თავს ანებებს მძლეოსნობას და შეჯიბრებებში აღარ გამოვა. 26 წლის ნიკულა ერთ-ერთი პირველი ევროპიელი მოხტუნავე იყო, რომელმაც ფიბერგლასის ჭოკი გამოიყენა. 1962 წელი მისთვის „ოქროს მოსავლიანი“ გამოდგა: დაამყარა მსოფლიოს რეკორდი (494 სმ) და გახდა ევროპის ჩემპიონი. მაგრამ 1963 წელს ნიკულა მძიმედ დაშავდა და მას შემდეგ სარეკორდო სიმაღლეები მისთვის მიუწვდომელი შეიქნა.

◆ **ს ა ნ - პ ა უ ლ უ, 4 დეკემბერი.** იაპონიის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები სამხრეთ ამერიკაში სტუმრობენ. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — იაპონელმა ქალებმა აქ იოლად „დაჩოქეს“ მოედნის პატრონნი — ბრაზილიის ნაკრების მოთამაშენი — 3:0 (15:1, 15:6, 15:1). სამაგიეროდ, სტუმარი ვაჟები დამარცხდნენ. მათ ასეთივე ანგარიშით წააგეს ბრაზილიის ნაკრებთან (14:16, 7:15, 16:18).

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

ნიჩბოსნობის დიდი ხარვეზები

სპორტულ სამყაროში უამრავი ფაქტია, როცა ახალგაზრდას შესანიშნავ მერმისს უწინასწარმეტყველებენ. სპეციალისტები მასში ხედავენ მომავალ ოლიმპიურ, მსოფლიო ჩემპიონს... დიდ სპორტში ისინი მეტეორივით გაიელვებენ და მერე ისევე უეცრად ქრებიან. ისე გაქრებიან, რომ მათი კვალიც კი ძნელი მისაგნები ხდება. ამ სამწუხარო ამბავს უმთავრესად იწვევს ორი ძირითადი ფაქტორი — მაგარი სასმელებისადმი ლტოლვა და მორალური სიმტკიცის ნაკლებობა (რეჟიმის დარღვევა, უდისციპლინობა).

სპორტში ზოგჯერ გვხვდებიან ისეთნი, რომელთაც წარმატების, ასე ვთქვათ, წინაპირობად მიაჩნიათ მაგარი სასმელების „წყალობით" მიღებული ფსიქოლოგიური განტვირთვა. ცხადია, ეს სისულელეა. ალკოჰოლი არასოდეს არავის დახმარებია მეტოქის დამარცხებაში. არიან ისეთებიც, რომლებიც შეჯიბრების შემდეგ სვამენ: მოგებისას — გამარჯვების აღსანიშნავად, წაგებისას — დარდის გასაქარვებლად.

ამ დამპალ და უაღრესად მავნე ჩვეულებას ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სუსტად ებრძვიან მწვრთნელები, ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ისინი კმაყოფილდებიან შენიშვნებით თუ საყვედურის გამოცხადებით, ან, უკეთეს შემთხვევაში პირობითი სასჯელის დადებით. სპორტსმენებიც მიეჩვივნენ ასეთ ლიბერალურ „მათრახებს", რომლებიც არასოდეს არ ამწარებს მათ. გადამჭრელ ღონისძიებამდე საქმე, ჩვეულებრივ, არ მიდის. და აი, უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება მაგარი სასმელისადმი სწრაფვა, უდისციპლინობა, რაც შემდგომ თავს იჩენს უნებისყოფობაში, ძალთა მოდუნებაში, გულგრილობაში. სპორტსმენები ფლავდებიან, ვერ ავლენენ მორალურ სიმტკიცეს, უშინდებიან ბრძოლას და მარცხდებიან იქ, სადაც შეეძლოთ გამარჯვება.

წესრიგის დამრღვევთა მიმართ განსაკუთრებით გულჩვილობენ მწვრთნელები. ზოგიერთების აზრით, სპორტსმენებთან გაუთავებელმა „მამა-შვილურმა" მოლაპარაკებამ ბოლოს და ბოლოს ნაყოფი უნდა გამოიღოს. ამიტომ აღმზრდელები ხშირად თავად მალავენ თავიანთი მოწაფეების დანაშაულს, ასე ვთქვათ — თავიანთი ქოხიდან ნაგავი არ გააქვთ. ალბათ ფიქრობენ, ჩვენს სახელსაც ლაქა მოეცხებაო. ასეთი ვაიაღმზრდელები არად აგდებენ რესპუბლიკის სპორტულ ინტერესებს, ივიწყებენ, რომ ერთ წვეთ კუპრს შეუძლია ერთი კასრი თაფლის გაფუჭება.

ამგვარი „საქმენი საგმირონი" შეიმჩნევა სპორტის ყველა სახეობაში, მაგრამ ჩვენს წერილში საუბარი გვექნება მხოლოდ საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში მომხდარ ფაქტებზე, წესრიგის, წვრთნისა და თანაცხოვრების რეჟიმის დარღვევის შემთხვევებზე. ერთი სიტყვით, ყოველივე იმაზე, რაც აფერხებს ამ სახეობის შემდგომ წინსვლას, რამაც ხელი შეუშალა ჩვენი ნიჩბოსნების წარმატებით გამოსვლებს ჯერ პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადაში, ხოლო შემდეგ — სსრ კავშირის ჩემპიონატში. ამაზე საუბარი საჭიროა მით უფრო, რომ, თუ ხარვეზები დროულად არ დავძლიეთ და გუნდი არ გავაჯანსაღეთ, წლევანდელი სავალალო ფაქტები შესაძლოა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაშიც გამეორდეს.

საბაიდარო ნიჩბოსნობისა და კანოეს რესპუბლიკურმა ფედერაციამ სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის დამთავრებისთანავე ამ სახეობის სპორტსმენთა მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე შეადგინა IV სპარტაკიადისთვის მზადების 4-წლიანი პერსპექტიული გეგმა. იგი დროულად გაამრავლა და დაუგზავნა ყველა მწვრთნელს, მაგრამ... მწვრთნელთა უმეტესობამ ეს სახელმძღვანელო უჯრაში ღრმად შეინახა და მუშაობა ძველებურად განაგრძო. თანაც საინტერესოა, რომ მათ სხვა რაიმე მეთოდური მასალებით სარგებლობა უძნელდებათ, ვინაიდან ქართულ ენაზე ამდაგვარი ლიტერატურა არ მოგვეძევება. ისიც უნდა ითქვას, რომ იშვიათ ხილად იქცა მწვრთნელთა მომზადების დონის ასამაღლებელი სემინარებიც! ფედერაციის მწვრთნელთა საბჭო კი რატომღაც ნაკლებად ზრუნავს ამ სერიოზული ხარვეზების აღმოფხვრისთვის.

ჩვენი მწვრთნელების დიდი ნაწილი კარგი სპეციალისტებია, მაგრამ ზოგიერთთა ურთიერთობაში ცხადად შეიმჩნევა არაჯანსაღი დამოკიდებულება. არიან ისეთნი, რომლებიც პატივს არ სცემენ ერთმანეთს, არღვევენ წესრიგს და თავიანთი საქციელით აღსაზრდელებს ცუდ მაგალითს აჩვენებენ. ამის საუკეთესო ნიმუშად გამოდგებიან ა. ბერიძე (მცხეთა) და მ. პოგრებეცკი (რუსთავი). ბერიძე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ხშირად თავად მონაწილეობს შეჯიბრებებში და აი, სწორედ ერთ-ერთი ასეთი ასპარეზობისას წესის დარღვევისთვის ნაკრების ხელმძღვანელობამ იგი გუნდიდან... გარიცხა. რაც შეეხება პოგრებეცკის, წესრიგის სისტემატური დარღვევისა და არაკოლეგიალობისთვის მას, როგორც მწვრთნელს... აეკრძალა საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა. ამ სასჯელს პოგრებეცკიმ მეტისმეტად თავისებურად უპასუხა: რუსთაველი ნიჩბოსნები მთელი სერიოზულობით აღარ იბრძვიან საკავშირო შეჯიბრებებში (!).

წლევანდელ სეზონში საქართველოს სპორტსმენთა მიერ უდისციპლინობის, წვრთნის რეჟიმის დარღვევის, კოლექტივის საერთო ინტერესების უგულვებელყოფის იმდენმა ფაქტმა წამოყო თავი, რომ ყველა წინა სეზონს გადაამეტა.

თბილისელი ჯ. გუნია („ბურევესტნიკი") და რუსთაველი თ. კუპრაშვილი („განთიადი") პსკოვში, სსრ კავშირის პირველობის დღეებში სისტემატურად არღვევდნენ დღის რეჟიმს. გუნია იქამდეც კი მივიდა, რომ ღამით ფანჯრიდან გაიპარა ქალაქში. კუპრაშვილი კი შეჯიბრების წინა დღეს გადაყვა ხელს — „სუსტი სქესის" წარმომადგენლებთან „ასპარეზობდა". გუნდის ხელმძღვანელობამ ორივე მოხსნა შეჯიბრებიდან.

თბილისელი სტუდენტი ნ. ხლოპკოვი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ნიჩბოსანია. თანაგუნდელებს საკავშირო ტურნირში მისი დიდი იმედი ჰქონდათ, მაგრამ სპორტსმენი იმდენად გააყოყოჩა წარმატებებმა, რომ თბილისის ვაგზლის ბაქანზე, მატარებლის გამგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე უარი თქვა საკავშირო ჩემპიონატზე წასვლაზე. მცხეთელმა ლ. ნასყიდაშვილმა („ლოკომოტივი") წიხლი ჰკრა საზოგადოების, ფედერაციის, სპორტკავშირის ამაგს და გუნდს თვითნებურად გამოეთიშა — საკავშირო პირველობის ადგილზე არც კი ჩავიდა. მისი თანაქალაქელი შ. კოზმანაშვილი („კოლმეურნე") მთელი სეზონი უქმად სეირნობდა, თავს არიდებდა ვარჯიშებს, არ ზრუნავდა საკუთარი ფიზიკური და ტექნიკური მომზადების დონის ამაღლებისთვის, რის გამოც საკავშირო შეჯიბრებაში უსუსურად გამოვიდა.

ჩვენს მწვრთნელებს ისიც უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ სპორტსმენთა მორალურ მომზადებაზე, მათში პატრიოტიზმისა და კოლექტივიზმის სულისკვეთების, ამხანაგებისადმი თავდადების, მტკიცე ნებისყოფის გამომუშავებაზე. ჩვენს ნიჩბოსნებს არა სწამთ საკუთარი ძალებისა და თითქმის ყველა მეტოქის წინაშე კანკალებენ. სამწუხაროდ, მათში გაბატონდა ფრიად მანკიერი რწმენა: სულ ერთია, საკავშირო სარბიელზე მაინც ვერაფერს გავხდებითო. და აი, გამომუშავდა ასეთი „ფორმულა": გამარჯვება რესპუბლიკურ ტურნირში, აქედან გამომდინარე — საქართველოს ნაკრებში ადგილის დამკვიდრება, რათა... მოპოვებულ იქნას შორეული ქალაქების საგზური იქ სასეირნოდ და დროს გასატარებლად.

სწორედ ამგვარი აზრებით ჰქონდათ თავი გატენილი ბათუმელ გ. ვლასენკოს („განთიადი"), რუსთაველ ო. გაგარინს („განთიადი"), არმიელ ვ. კალიუჟნის, რუსთაველ ა. წიწვიძეს („განთიადი") რომლებმაც, იმ პრინციპისა არ იყოს, „უშრომ-უზრუნველად" გაატარეს სეზონი და სსრ კავშირის ჩემპიონატზე და პროფკავშირთა VIII საკავშირო სპარტაკიადაში საშინლად ჩაფლავდნენ.

განსაკუთრებით საკვირველია თბილისელი ს. ციცქიშვილის („შრომითი რეზერვები") დამოკიდებულება ვარჯიშისადმი. სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პრიზიორი წლეულს პროფკავშირების რესპუბლიკურ ნაკრებშიც კი ვერ მოხვდა, საკავშირო ჩემპიონატში კი უღიმღამოდ გამოვიდა.

ვერ ვიტყვით, რომ ამ სპორტსმენების შესაძლებლობათა ზღვარი ამოწურულია. ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. მაგრამ თვითდამშვიდებამ, გულგრილობამ და მაგარი სასმელებისადმი სწრაფვამ ისინი კალაპოტიდან ამოაგდო.

საქართველოს ნიჩბოსანთა წლევანდელ წარუმატებლობაში გადამჭრელი როლი შეასრულა ყოველივე ზემოთქმულმა, მაგრამ არანაკლები „სიტყვა თქვა" მასობრიობის სიმცირემ, ბაზებისა და ჯგუფების არასახარბიელო მდგომარეობამ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რესპუბლიკაში არა გვაქვს ბაზა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებდა საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში ნაყოფიერი, რეგულარული წვრთნის მოთხოვნებს. მართალია, ამ ხარვეზების დასაძლევად შესაბამისმა ორგანიზაციებმა სათანადო მუშაობა გასწიეს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, მცხეთაში, დუშეთში, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერსად მიიყვანეს.

შეიძლება შემოგვედაონ: იყო დრო, როცა რესპუბლიკას ერთადერთი ბაზა ჰქონდა (მცხეთაში), სპორტსმენები კი შესანიშნავი იყვნენ და საკავშირო ასპარეზზეც ვაჟკაცურად იბრძოდნენო. ჩვენი ოპონენტები ნუ ივიწყებენ, რომ მაშინ საქმისადმი სიყვარული და მონდომება რატომღაც მეტი იყო, სპორტსმენებს კი ასეთ გაზრდილ მოთხოვნებს არ ვუყენებდით. ნუ გავიწყდებათ, რომ ცხოვრება წინ მიდის! ამჟამად ნიჩბოსნობის საკავშირო და საერთაშორისო კლასი საგრძნობლად გაიზარდა.

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობაშია არსებული ბაზები. სოხუმისას არც შეიძლება ბაზა ეწოდოს, ვინაიდან მის როლს ასრულებს ნავების შესანახი სანახევროდ გადახურული ფარდული. მოუწყობელია ქუთაისის ბაზა რიონის წყალსაცავზე. სპორტკავშირის ბაზა მცხეთაში ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, რომ ეს-ესაა სულს განუტევებს. აქვე მოუგვარებელია „განთიადის" ბაზაც. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის წყალჯომარდობის სადგურში, თბილისის ზღვაზე, არავითარი მუშაობა არ ტარდება. „ბურევესტნიკმა" თავის ბაზას აქ 3 წლის წინ ჩაუყარა საფუძველი და... ამით დაკმაყოფილდა.

ფოთში კი... ფოთელებმა ყველას „აჯობეს". ქალაქის ხელისუფალთა ნებართვით „ვოდნიკის" წყალჯომარდობის სადგურის გვერდით რესტორანი წამოჭიმეს. ამ დაწესებულების შეზარხოშებული კლიენტები ხშირად „ამოწმებენ" იქვე დაწყობილი ნავების სიმაგრეს, შეურაცხყოფას აყენებენ სავარჯიშოდ მოსულთ. ერთი სიტყვით, მთვრალები აფრთხობენ ნიჩბოსან გოგონებს.

კარგი ბაზის მოწყობის შესაძლებლობაა რუსთავის პარკის ტბაზე. აქ შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია, მაგრამ ელინგის გარდა დღემდე ვერ მოხერხდა სხვა დამხმარე სათავსოების აგება. ამიტომ სპორტსმენები შეკედლებული არიან პარკის დირექციასთან, რომელსაც მაინცდამაინც არაფრად ეპიტნავება ნიჩბოსნობის განვითარება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა თბილისის ზღვაზე ქალაქის სპორტკავშირის ბაზის მოწყობის საქმეში, მაგრამ სახარბიელო მდგომარეობა ჯერჯერობით არც აქაა.

ბაზების სიმცირითა და მოუწყობლობით გამოწვეული ხარვეზები შეიძლებოდა შევსებულიყო საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში მომევადინეთა ჯგუფების მრავალრიცხოვნებით, ამ სახეობებში ახალგაზრდობის მასობრივი ჩაზიდვით. სამწუხაროდ, სანუგეშო აქაც არაფერია: სექციების რიცხვი მცირეა.

„დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოში 2 საშტატო ერთეული და საათობრივ ანაზღაურებაზე მომუშავე 3 მწვრთნელია. „შრომითი რეზერვების" აღლადიდებაა 3 ჯგუფი. 2 ჯგუფი აქვს „ლოკომოტივს", და, რაც ყველაზე მეტად გულდასაწყვეტია, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს თბილისში ერთი საშტატო ერთეულიც კი არა აქვს. ამოდენა სახეობის გაძღოლას იგი საათობრივ ანაზღაურებაზე მომუშავე ერთი ერთეულით ფიქრობს!? უნივერსიტეტს, პოლიტექნიკურ და ფიზკულტურის ინსტიტუტებს თავიანთ ხარჯზე ჰყავთ თითო ჯგუფი. ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კი ამ მხრივ არაფერი კეთდება. „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურმა საბჭომ ეს ნაკლოვანება სასწრაფოდ უნდა გამოასწოროს.

„განთიადს" რამდენიმე ჯგუფი აქვს მცხეთაში, რუსთავსა და ბათუმში. ეს კარგია, მაგრამ რა დააშავეს თბილისმა, სოხუმმა და ქუთაისმა?! ან იქნებ არსებული ჯგუფებია საკმარისი ამოდენა ორგანიზაციის ფიზკულტურელთა — სპორტის ამ სახეობაში მეცადინეობის მსურველთა დასაკმაყოფილებლად?!

აღარაფერს ვამბობთ „სპარტაკზე", რომელსაც არც ჯგუფები გააჩნია და არც ბაზები, და „კოლმეურნეზე", რომელმაც დღემდე ვერსად მოაწყო საკუთარი სავარჯიშო.

სასიქადულო არაფერი აქვთ საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტულ სკოლებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციამ სამინისტროს მეთოდკაბინეტს არაერთგზის შეახსენა კანოეში ბავშვთა ჯგუფების გახსნა, საკითხის დადებითად გადაწყვეტას საშველი არ დაადგა. საინტერესოა, ახლა რაღას იზამენ მეთოდკაბინეტის მესვეურნი: მოსწავლეთა მომავალ საკავშირო სპარტაკიადაში ხომ კანოეც შეიტანეს?! არც ბაიდარებშია აქ სანუგეშო მდგომარეობა. მარტო თბილისში, სადაც 100-ზე მეტი საშუალო სკოლაა, საბაიდარო ნიჩბოსნობის მხოლოდ 4 ჯგუფია შექმნილი (გოგონები მხოლოდ ერთ ჯგუფს შეადგენენ!). სადღაა მასობრიობა?

და, ბოლოს, მწვრთნელთა დატვირთვაზე. ფედერაციას მიზანშეუწონლად მიაჩნია ერთიდაიგივე მწვრთნელების მუშაობა ბაიდარებსა და კანოეზე, დიდებთან და ბავშვებთან. სახეობების მიხედვით მწვრთნელთა დაყოფა უფრო ნაყოფის მომცემი იქნებოდა და მათი პასუხისმგებლობაც საგრძნობლად ამაღლდებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოზარდთაგან ძლიერი ნიჩბოსნების აღმზრდელს შემდგომში „წაართვათ" სპორტსმენები. ეს ხომ მწვრთნელს შრომის ხალისს უკარგავს და სტიმულსაც უკლავს. პირიქით, მოზრდილებმა ამავე მწვრთნელთან უნდა განაგრძონ ვარჯიში (თუ ამას მწვრთნელის კვალიფიკაცია იმსახურებს).

როგორც ვხედავთ, საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში ძალიან ბევრი რამაა მოსაგვარებელი. თუ გადამჭრელ ღონისძიებათა გატარებით ეს ხარვეზები დროულად არ აღმოიფხვრა, ჩვენ პირდაპირ კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით: საქართველოს ნაკრები სათანადოდ ვერ მოემზადება სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის.

ქ. რევია,

საქართველოს საბაიდარო ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაციის თავმჯდომარე.

ო. გელაშვილი.

ასპარეზობენ მოსწავლეები

გრძელდება რუსთავის მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. კალათბურთელ ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა № 1 საშუალო სკოლის გუნდმა. გოგონათა ასპარეზობის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი — № 10 და № 1 საშუალო სკოლების გუნდები. ანგარიშით 21:19 მატჩი მოიგეს პირველი სკოლის მოსწავლეებმა.

მძლეოსანთა შეჯიბრების პროგრამაში იყო რბენა 100 მეტრზე, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა და ბირთვის კვრა.

ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში იმარჯვა ვ. ჯამურელმა (№ 15 სკოლა), სიმაღლეზე ხტომაში — ვ. კედელაშვილმა (სკოლა-ინტერნატი), ბირთვის კვრაში — გ. ლუარსაბიშვილმა (№ 9 სკოლა).

გოგონათა შორის სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა ნ. ჩირგაძემ, სიგრძეზე ხტომაში — ზ. პეტროვამ, 100 მეტრზე რბენაში — გ. ნესტერენკომ, ხოლო ბირთვის კვრაში — ნ. პლოტნიკოვამ (ყველანი — № 1 სკოლა).

საერთო გუნდური I ადგილი წილად ხვდათ № 1 სკოლის მძლეოსნებს. II ადგილზე გავიდნენ № 11, ხოლო III — № 3 სკოლის წარმომადგენლები.

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

სურათზე: კალათბურთელ გოგონათა ფინალური მატჩის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო ავტორისა.

[illegible]

✦ კასპი

ამას წინათ აქ გაიმართა თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა სახლის საჭადრაკო კლუბისა და ადგილობრივი სკოლა-ინტერნატის ნორჩ მოჭადრაკეთა ამხანაგური შეხვედრა. პაექრობა მოეწყო 24 დაფაზე. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 14:10.

ვ. კიკაჩეიშვილი,
რაიონული სპორტკავშირის თავმჯდომარე.

✦ საჩხერე

13 საშუალო და 3 რვაწლიანი სკოლის 40 მოსწავლე-მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა რაიონის პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც კულტურის სახლში ჩატარდა. I-III ადგილები გაიყვეს საჩხერის მე-3, საირხისა და კორბოულის მე-2 საშუალო სკოლების გუნდებმა. ჭაბუკთა პირად ასპარეზობაში გაიმარჯვა საჩხერის მე-3 სკოლის X კლასის მოსწავლე გ. ბარათაშვილმა. გოგონებში I-III ადგილები გაიყვეს: მ. ზამბახიძემ (საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა), თ. მჭედლიშვილმა (საირხის საშუალო სკოლა), ე. დოლაძემ (ჯალაურის საშუალო სკოლა).

ა. ანასაშვილი.

გამარ

გურჯაანის სტადიონზე მოზეიმე ხალხი სიამოვნებით გასცქეროდა მწვანე მინდორზე მოვარჯიშე ახალგაზრდებს. ტრიბუნებზე ტაშმა იქუხა, როდესაც ლამაზ ფორმაში გამოწყობილმა გოგონებმა და ვაჟებმა სწრაფად შეინაცვლეს ადგილები და მწვანე ფონზე გამოისახა ციფრი 54.000. ამით მოვარჯიშეებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი რაიონის კოლმეურნეთა დიდ გამარჯვებას: მათ ხომ სწორედ ამდენი ტონა ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს.

— ჭიდაობა იწყება, ხალხო, ჭიდაობა! — გაისმა შინდისფერჩოხიანი მამაკაცის ბოხი ხმა. მოვარჯიშეებმა ექვსი წრე შეკრეს და თვითეულ წრეში საჭიდაო ჩოხებში გამოწყობილი წყვილები გადაეშვნენ. ჩემს მახლობლად მსხდომ მაყურებელთა შორის ყველაზე მეტად ერთი მოხუცი ღელავდა. მოჭიდავეთა ყოველ მოხდენილ ილეთზე ზეზე წამოვარდებოდა და შესძახებდა ხოლმე: „შენი ჭირიმე, შენი!" როცა ერთმა მოჭიდავემ ელვისებურად შეასრულა გარესარმა და მეტოქე ბალახზე გაშხლართა, მოხუცმა ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა შესძახა:

— აი, ვაჟკაცი! სწორედ ცხონებულ ლევანს ჰგავს ეს ჯანდალოცვილი.

ჭიდაობა მოთავდა და იგი სხვა სანახაობამ შეცვალა. ცნობისმოყვარე ახალგაზრდებმა არ დააყოვნეს და მოხუცს ლევანის ვინაობა გამოჰკითხეს.

— ლევან ჯავახიშვილი რომ გავიცანი, — დაიწყო ენაწყლიანმა მოხუცმა, — ჩვენს სოფელში კოლმეურნეობა ახალი შექმნილი იყო. მე და ჩემი ბრიგადის წევრები სოსო ორთოიძე და გია ქიტიაშვილი საკმაოდ ახალგაზრდები ვიყავით, ის კი მაშინ ნახევარ საუკუნეს იყო უკვე გადაცილებული. ერთ დღეს ჩვენი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა შალვა ბოსტაშვილმა გაგვაგულიანა — დევებივით ბიჭები ხართ, ცადეთ ბედი, გამოდით თბილისის ცირკში და ქალაქელ მოჭიდავეებს თქვენი ძალა აჩვენეთო. ჩვენც დავუჯერეთ. ჩავსხედით მატარებელში და თბილისისკენ დავიძარით. ბადიაურში სოსო ორთოიძე ატყდა — ჩავიდეთ, ცოტა რამ შევჭამოთო. პური კი მივირთვით, მაგრამ ბაზარში გასულებს მატარებელ

სწრო. დაკარგული ცხვრებივით

ნით. ამ დავიდარაბაში რომ

ერთმა ხანშიშესულმა კაცმა

მოგვიახლოვდა, გაგვეცნო —

ჯავახიშვილი ვარო და გაჭირვებ

მოგვკითხა. ჩვენც ვუამბეთ ყვე

— მაშ, თბილისში მიდიხართ,

— გაშმულად იკითხა მან და

შეგვათვალიერა, — კახეთში არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარათი მირანგულას ელოდება

ნარკვევი

1950 წელი. ქალაქი გორი. ქართული ბარაქიანი შემოდგომის ერთ-ერთი მშვენიერი დღე. ქუჩებში მისი ნატიფი სუნთქვა იგრძნობა. ყველგან რაღაცის მოლოდინი აქვთ; განწყობილება ამაღლებულია, სადღესასწაულო. საზოგადოებრიობა შეხვედრას უწყობს ქართველ ლომკაცებს, უშბა-შხელდის ტრავერსის ავტორთ — ქ. მარს, ბ. ხერგიანს, ჯ. ჩართოლანს, მ. გვარლიანსა და გ. ზურებიანს. ინსტიტუტის სააქტო დარბაზში სტუდენტური ღიმილი და ათასფერადი ყვავილები ერთმანეთს სიკეკლუცეს ეცილებიან. აქვეა მოხდენილი გარეგნობის ერთი ხანდომიანი ახალგაზრდაც, მრავლისმეტყველი თვალებითა და მაღალი შუბლით. ისეთი ვაჟკაცი, რომლის შესახებაც სვანეთში იტყვიან — „ხიჩა ლაწვამ ლი“ (სიტყვა-სიტყვით ნიშნავს კარგ სანახავს).

ეს იყო მეტად სასიამოვნო, ტკბილი და შთამაგონებელი დღე ჯოკია გუგავას ცხოვრებაში, რადგანაც ამიერიდან მას თავისი პირველი მასწავლებლის ა. ნემსიწვერიძის წყალობით, წილად ერგო მარადანდელითა და დიდებით მოსილი გზით სიარული.

1952 წელს ჯოკიამ პირველად შედგა ფეხი მწვერვალზე. ულმობელმა კავკასიონმა ქედი მოიხარა ზღაპრული თვალ-მარგალიტის კიდევ ერთი ახალი მაძიებლის წინაშე... მას შემდეგ სპორტის ოსტატი ჯოკია გუგავა ყოველწლიურად წარმატებით მონაწილეობს სარეკორდო ასვლებში. მან რამდენიმეჯერ აისხა ოქროსა და ვერცხლის მედლები. უშბა თუ თეთნულდი, შხარა თუ შხელდა, ჯანღა, ყაზბეგი, ყოშტან-თაუ, სვეტღარი, წურუნგალა, მაზერი, ვახუშტი, შორეული პამირი თუ ტიანშანი, რომელი ერთი მოვთვალოთ! მათ წინაშე არასოდეს მოუხრია ქედი ჯოკია გუგავას, თავისი მაგარი მუხლით ყველგან ვაჟკაცური ანაბეჭდი დაუტოვებია.

მთამსვლელობას ტყუილად როდი ეძახიან მამაცთა სპორტს. უშბა სვანურად მიუკარებელს ნიშნავს. შარშან დასავლეთის კედლიდან (ყველაზე ურთულესი გზით) მიადგა მას „კლდის ვეფხვის“ — მიხეილ ხერგიანის ჯგუფი, რომელშიც ჯოკიაც შედიოდა. ქართველი ბიჭები უშბაზე ძლიერნი აღმოჩნდნენ.

ჯოკია მარტოოდენ სახელოვანი სპორტსმენი როდია. იგი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ხალხის ღვიძლი შვილი და ერთგული მსახურია. ადამიანი იქნებ კიდეც განაცვიფროს მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ. თუკი რაიმე სასარგებლო და საკეთილდღეო საქმე კეთდება ლენტეხის რაიონში, მასში უთუოდ ჯ. გუგავაც მონაწილეობს. იგი პარტიის რაიკომის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი და აღმასკომის კინოფიკაციის განყოფილების გამგეა. სოფელ ლაფურის საკოლმეურნეო ფერმამდე სვანეთის ისტორიაში ჯერ კაცს არ ახსოვს ავტომანქანა მისულიყოს, მან კი მოძრავ კინოდანადგარს თავისი წერაყინით გაუკაფა გზა და მთელი დღის მუშაობით დაქანცული გლეხები მშვენიერი ქართული ფილმით დაატკბო.

ჯოკია დაინტერესებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტული აღზრდის საკითხებით, ხშირად ესწრება სოფლის ყრილობებს, ყურადღებას აქცევს ლენტეხის კულტურის სახლის მშენებლობას, ფირზე იწერს ჟამთა სვლას გადარჩენილ ოდინდელ სვანურ ხალხურ სიმღერებს. იგი თავადაც შესანიშნავი მომღერალი და რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოების ავტორია. ვერც ერთი მეცნიერ-მუშაკი, — ეთნოგრაფი იქნება იგი თუ ენათმეცნიერი, არქეოლოგი თუ გეოლოგი, ხელოვნებათმცოდნე თუ მუსიკოსი,—მას გვერდს ვერ აუვლის. თუკი რომელიმე მკვლევარი რაიმე სიახლის საძიებლად ჩავა ლენტეხის რაიონში, მის დასახმარებლად გუგავა მუდამ მზადაა.

ახლა უკვე 40 წლის სრულდება ქართული მადლით ცხებული ვაჟკაცი. შევერცხლილი თმა მას კიდევ უფრო მეტი სისპეტაკისა და კეთილშობილების იერს აძლევს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სამარადისო ყინულეთში ჩანთქმულმა მწვერვალებმა თავიანთი ფერადოვნება, ეშხი და სილამაზე შეუხამეს მის გარეგნობას. ჯოკიამ მთებისკენ გააცილა შესანიშნავი მეგობრები — ილიკო გაბლიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, გურამ თიკანაძე და ზაურ ჩანქსელიანი, მაგრამ ისინი იქიდან აღარ დაბრუნებულან. ტიანშანზე, შხარასა და პამირზე სამარადისოდ გაცივდნენ ეს გულანთებული მამულიშვილები. აბა, რა გასაკვირია, თუ ჯოკიას თმები დარდისფერად შეემოსა?..

სულ ახლახან ქართველი ალპინისტები კავკასიონის უსახელო მწვერვალებს ეწვივნენ და მონათლეს კიდეც ისინი („გრიშაშვილი“, „ქუთაისი“, „საპოვნელა“, „ბეთქილი“, „ტიციანი“, „უშგული“). ერთ-ერთი შესვენების დროს ჯოკია გუგავამ შინიდან მოსალოცი დეპეშა მიიღო: ვაჟიშვილი შეგეძინაო, ატყობინებდნენ. მთამსვლელებმა მწვერვალსაც და ჯოკიას ახალშობილ ვაჟკაცს უძველესი სვანური სახელი — მირანგულა დაარქვეს. იქ დარჩა პატარა ბარათი, რომელიც მირანგულას ელოდება. ემრავლოთ ჯოკია გუგავას შვილემსა და შვილიშვილებს მათი სახელოვანი მამის სასიქადულოდ თეთრად გადაპენტილ მწვერვალებზე არეკლილი მზის სხივის სითბო ნუმც მოჰკლებოდეთ ნურასოდეს!

იზა ჩანტლაძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტი.

• • •

სურათზე: სპორტის ოსტატი ჯოკია გუგავა.

ჭადრაკის ქალღმერთი იღიმება

შეეხე — ითამაშე!

როგორც ცნობილია, საჭადრაკო კოდექსის ერთ-ერთი ურყევი კანონია წესი: რომელ ფიგურას ან პაიკსაც შეეხე, იმითვე ითამაშე! ერთხელ ამ წესის „მსხვერპლი“ სრულიად უნებლიედ კინაღამ დიდოსტატი ი. ავერბახი გახდა.

იგი ლენინგრადელ ოსტატს ლ. შამაევს ეთამაშებოდა. ის იყო დიდოსტატმა მხედრით დააპირა მორიგი სვლის გაკეთება, ხელი გაიწოდა, რომ უეცრად... ლაზიერის ფრთაზე ჩამწკრივებულ თავისსავე სამ პაიკს სახელო წამოსდო და წააქცია. ავერბახმა უმალ მოიბოდიშა და პაიკებიც სწრაფად დააყენა ადგილებზე. შემდეგ ხელი ისევ მხედრისკენ გაიწოდა სვლის გასაკეთებლად, რომ... შამაევის მკაცრი და შეურიგებელი ხმა მოესმა:

— თამაშობს „a“ პაიკი!

ოსტატს მყისვე მოუსაზრებია, რომ სვლა „a“ პაიკით (ერთი მათგანით, რომლებიც ავერბახმა წააქცია) დიდოსტატისთვის ძალზე არასახარბიელო იქნებოდა.

— რატომ? — გაუკვირდა ავერბახს.

— იმიტომ, რომ თქვენ ხელი ახლეთ „a“ პაიკს! — წარბშეუხრელად უპასუხა შამაევმა, — განა არ იცით წესი: შეეხე — ითამაშე!

— მომიტევეთ, — აღშფოთდა ავერბახი, — თუ ასეა, მე ერთბაშად სამ პაიკს — „a“, „b“ და „c“ პაიკებს შევეხე. რაღა მაინცდამაინც „a“-თი უნდა ვითამაშო?!

— იმიტომ. რომ ეს ჩემთვის ყველაზე მეტად ხელსაყრელია, — ცივად მიუგო შამაევმა.

საბედნიეროდ, „ინციდენტის ადგილზე“ აღმოჩნდა მსაჯი, რომელმაც თუმცა კი დიდი ჯაფით, მაგრამ მაინც დაარწმუნა შამაევი, რომ დიდოსტატმა შემთხვევით წააქცია პაიკები. „კონფლიქტი“ ამით ამოიწურა.

— მას შემდეგ, — ხშირად იხსენებს ავერბახი, — ახალი საზრუნავი გამიჩნდა. სანამ მორიგ სვლას ვითამაშებდე, სახელოებს ვუთვალთვალებ: ღმერთი არ გამიწყრეს და კიდევ რამე არ წავაქციო-მეთქი!..

მტკიცე საბუთი

დიდოსტატი დ. ბრონშტეინი მხოლოდ ორიგინალური მოჭადრაკე როდია. პირველ ყოვლისა, ის ორიგინალური ადამიანია. ყოველ შემთხვევაში, ასეთია მისი პირადი აზრი. თუმცა... თავად განსაჯეთ:

ამბობენ, მსოფლიოს პირველობაზე მიხეილ ბოტვინიკთან მატჩის წინ ბრონშტეინმა ერთ-ერთ ფოტომოყვარულს მომავალი მეტოქის უზარმაზარი პორტრეტი დაამზადებინა და ოთახში თავისი საწოლის თავთან დაკიდა. როცა გაოცებულმა მეგობრებმა ჰკითხეს დავითს, ეს რისთვის დაგჭირდაო, ბრონშტეინმა შთამაგონებლად განუმარტა:

— მატჩი მსოფლიოს პირველობაზე სერიოზული საქმეა. და განა მე არ უნდა შევეჩვიო იმ კაცის სახეს, რომელიც მთელი ორი თვის მანძილზე გარემო სამყაროს დამიხშობს?! ამიტომაც ამშვენებს ბოტვინიკის პორტრეტი ჩემი საწოლის თავს: გაღვიძებისთანავე პირველად მეტოქის სახეს ვხედავ.

ა. ბუხლაევი,
სპორტის ოსტატი.

პრეტენდენტთა მატჩის მემატიანე

ტალ—სპასკის პაექრობის დღეებში თბილისში რუსულ ენაზე გამოდიოდა სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენი „პრეტენდენტთა ფინალური მატჩი“. გუშინწინ „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში გამოჩნდა ბიულეტენის ბოლო, მე-7 ნომერი. მასში მოთავსებულია ამ საინტერესო ორთაბრძოლაში გამარჯვებულის, დიდოსტატ ბ. სპასკის პორტრეტი, XI პარტია ოსტატ ბ. გურგენიძის კომენტარებით, მატჩის სპორტული და შემოქმედებითი შედეგებისადმი მიძღვნილი ვრცელი წერილი (ავტორი — დიდოსტატი ი. ავერბახი). აქ დაბეჭდილი ფოტონარკვევი მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ ატარებდა ბ. სპასკი ჭადრაკისგან თავისუფალ დღეებს.

ბიულეტენში გამოქვეყნებულია სხვა მასალებიც.

ბიულეტენს კარგი სამსახური გაუწიეს მატჩზე მყოფმა დიდოსტატებმა ა. ლილიენტალმა, ს. ფლორმა, ლ. შამკოვიჩმა, ი. ავერბახმა, ოსტატებმა ე. გუფელდმა, ბ. გურგენიძემ, ა. კობლენცმა, ა. გელერმა და სხვებმა, რომლებმაც წერილები მიაწოდეს რედაქციას.

ბიულეტენში გარკვეული ადგილი დაეთმო ქართული ჭადრაკის ამბებს.

მკითხველს უეჭველად დააინტერესებს შ. რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ამოცანა (ავტორი—თბილისელი პრობლემისტი რ. თავარიანი).

ბიულეტენში უხვადაა საზღვარგარეთული ინფორმაცია და სხვ.

* * *

В ДНИ, СВОБОДНЫЕ ОТ ШАХМАТ...

სურათზე: ბიულეტენის მე-7 ნომერში გამოქვეყნებული ფოტონარკვევი „ჭადრაკისაგან თავისუფალ დღეებში“.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შეაჯამა გასული სეზონი და დადებით მოვლენებთან ერთად აღნიშნა მისი უარყოფითი შედეგებიც. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საკავშირო ჩემპიონატის კალენდრის არითმულობა და გადატვირთვა; „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების ტურნირის ორეტაპიანობა; „ბ“ კლასის გუნდების უსწორო განაწილება ზონებში და სხვ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება.

შეჯიბრებები II ჯგუფში გაიმართება ორ ქვეჯგუფად, ორ წრედ, ფინალური ასპარეზობების გარეშე. სეზონის დამთავრების შემდეგ მეორე ჯგუფის საუკეთესო გუნდი შევა I ჯგუფში. 1967 წელს ქვეჯგუფებში გამარჯვებული 2 გუნდი პირდაპირ გადავა I ჯგუფში.

გაისად II ჯგუფის გუნდები იასპარეზებენ უდუბლიორებოდ.

ჩემპიონატის ვადაა 15 აპრილი — 10 ნოემბერი. კალენდარში გათვალისწინებულია „სპარტაკის“ მონაწილეობა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში, აგრეთვე სსრ კავშირის ნაკრების მატჩები.

შეცვლილია სსრ კავშირის თასის გათამაშების ვადა. უმაღლესი ლიგის გუნდები შეჯიბრებაში ჩაებმებიან 7 აგვისტოს, ფინალი შედგება 6 ოქტომბერს.

ფედერაციამ „ა“ კლასის ოსტატთა გუნდებს დაავალა სპეციალური სავარჯიშო ბაზების მოწყობა.

შეჯიბრებიდან გაიპარეს!

თბილისის განათლების განყოფილების სპორტულ დარბაზში ჩატარდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში კონსტიტუციის თასზე. მონაწილეობდა „სპარტაკის“ 7, „ბურევესტნიკის“ 4, განათლების განყოფილების 3 და „შრომითი რეზერვების“ 1 კოლექტივი.

— ასპარეზობამდე დიდი ხნით ადრე სპორტსაზოგადოებებს დაეგზავნათ შეჯიბრების დებულება, მაგრამ, როგორც ჩანს, „განთიადის“, „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ საბჭოებს დაეზარათ თავიანთი კოლექტივების ფიზკულტურის საბჭოებისთვის ეცნობებინათ, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ ღონისძიებაში, — თქვა ჩვენთან საუბარში შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა თ. ლოლაძემ.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივს კენჭისყრით პირველმა შეხვედრამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან მოუწია. მაგრამ მსაჯთა კოლეგია დიდხანს ამაოდ ეძებდა ავტოქარხნელებს — ძლიერ მეტოქესთან დამარცხების შიშით ისინი შეჯიბრებიდან გაიპარენ (?!). საინტერესოა, რას უწოდებენ თავიანთი გუნდის წევრების ამ მოქმედებას ავტოსარემონტო ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივის თავმჯდომარე ს. ხარიშვილი და გუნდის წარმომადგენელი ფ. მამონტოვი.

• • •

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მე-9 საშუალო სკოლის გუნდები. სტუდენტებმა, რომელთა რიგებში გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები ს. სარხოიანი და თ. რამაზაშვილი, პირველთანრიგოსნები ა. გიკაშვილი, ბ. პერელმანი და ნ. რუსეცკაია (მწვრთნელი რ. ცაგარელი), შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და თასიც დაისაკუთრეს.

III ადგილის ბედის გამოსარკვევად ერთმანეთს შეხვდნენ უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტისა და მე-80 საშუალო სკოლის გუნდები. გამარჯვების ხანწორი ამჯერად მოსწავლეთა მხარეს გადაიხარა.

ი. იუნაევი.

ეზული

ჩანახატი

რომ ეხლა თბილისელებს გა-
ბხართ?
ველში ფალავნებს გვეძახიან!
აყოვნა გიამ.
პარაკში თანდათან ხალხიც

თუ აგრეა, მოდით ჯერ მე დამე-
და თუ წამაქცევთ, თბილისში
ზე ჩაგიყვანთ! — გვითხრა

რაღა გავაგრძელო, ხელი ხელს დავკარით და საქმეს შევუდექით. ხალხი საჭიდაო მოედნის გარშემო დალაგდა. საიდანღაც ზურნაც გააჩინეს.

ჯერ სოსო ორთოიძე გადავიდა ასპარეზზე. იმ დალოცვილმა ჯავახიშვილმა მისალმება კი დააცადა, მერე დასტაცა ხელი ჩვენს სოსიკოს, გამოჰკრა გარესარმა და ნახევრით გაუთეთრა ზურგი. ახლა გია გადაეშვა მოედანზე, მაგრამ მასაც იგივე დაემართა. მე კი დღესაც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი ბეჭებზე. შემდეგ ლევანმა სადგურში შეგვიყვანა და ბილეთები გვიყიდა — ეხლა კახეთისკენ მიმავალი მატარებელი გამოივლის და უკან გაჰყევითო. როდესაც გაოცება შეგვატყო, დაგვიყვავა და მამა-შვილურად გვითხრა:

— ასე აჯობებს, ბიჭებო! წადით, ივარჯიშეთ, მომავალში ჩამოდით და თუ დამჯაბნით, მე თვითონ გაგყვებით თბილისის ცირკში!

ბადიაურში აღარ ჩავსულვარ, მაგრამ ჩვენი სოფლის ფალავნებთან ყოველ შაბათ-კვირას ვცდიდი მკლავის ძალას. მართალია, ლევან ჯავახიშვილი დაუმარცხებელი დამრჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბუნებასთან ჭიდილში სხვებთან ერთად მეც გავიმარჯვე. აბა, შეხედეთ, რა სიხარულია გარშემო! ისე კი, ვისაც ლევან ჯავახიშვილის გაცნობა გინდათ, შეგიძლიათ ჩემს ოჯახში მოხვიდეთ, დღეს ჩემი სტუმარი იქნება! — დაამთავრა მოხუცმა და მოზეიმე ტრიბუნებს გახედა.

მეზობლად მჯდომმა ახალგაზრდამ ამიხსნა: ეს მოხუცი გურჯაანის კოლმეურნეობის ბრიგადირია, ხვთისო ვარდიაშვილი, ჭიდაობის სექციის ხელმძღვანელი და მოწინავე მშრომელი.

ხვთისო ვარდიაშვილს არ გაუგონია ეს სიტყვები. სტადიონის თავზე შვეულმფრენი გუგუნებდა და ბლუჯა-ბლუჯა ისროდა ფურცლებს წარწერით: „მოგვილოცავს დიდი გამარჯვება!“

ა. ციბაძე,
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის დეკანი.

ქართული სპორტის ქრონიკა

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ვ. სიდამონიძემ.

„გუშინ, ივნისის 7-ს, „ევროპის“ ბაღში იყო გამართული გლდანელისა და ჭობიხეველის ჭიდაობა თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, თუმცა შემოსავალი ძლიერ ცოტა დარჩა წვიმის გამო, მაგრამ ჭიდილი კი საინტერესო იყო. გლდანელს ასეთი ღონიერი მოჭიდავე არ შეხვედრია. თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა ჭიდილი. პირველად ჭობიხეველმა პირქვე დაახეთქა მიწაზე გლდანელი, მაგრამ ჭიდილის ახირებული კანონი მოითხოვს, რომ გულ-აღმა უნდა დაეცეს დაძლეული. მეორედაც პირქვე დაამხო ახალმა მოჭიდავემ. მესამედ საბრალო გლდანელი დაიქანცა, უარი სთქვა — აღარ ვჭიდავობო, მაგრამ მომზირალნი არ დათანხმდნენ. ჭობიხეველიც გულით აღარ მოეკიდა ჭიდილს რაკი მოწინააღმდეგემ იარაღის დაყრა გამოაცხადა. აი, ამ დროს, გლდანელმა ბარიერზე მიიგდო მოწინააღმდეგე და, რომ მართალი სთქვას კაცმა, ბარიერზე მიაწვინა; თუმცაღა მისი მოსარჩლენი გაიძახოდნენ „დასცაო“ და ამასთანავე ეწეოდნენ ჭობიხეველს ბარიერზე უკან გადასაგდებლად, მაგრამ სრულიად ვერ დასძრეს ეს გოლიათი.

კარგი იქნება, რომ მეორედ დასჭიდებდნენ ამ ძლიერს მოჭიდავეს და გლდანელს. მომზირალნიც ბლომად იქნება და მოჭიდავეთ ხერხიც და ძალაც ნამდვილად გამოჩნდება“.

(„დროება“, 1884 წ. № 122).

„13 დეკემბერი. გლდანელის ჭიდაობამ აალაპარაკა მთელი ქუთაისი. ჭიდაობა მოსაწონია; ხალხს ავარჯიშებს ფიზიკურად, მაგრამ ამ სახალხო გასართობს უნდა ჰქონდეს ხალხურივე ხასიათი, ჭიდაობა, ბურთაობა და სხვ. სახალხო გართობანი ჩვენში უსასყიდლო იყო, დღესაც ასე უნდა იყოს, რომ რამე სარგებლობა მოუტანოს ხალხს“.

(„დროება“, 1884 წ. № 268).

„ქუთაისი, მაისის 3. ქუთათური საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა მაისის 2-ს, რადგან ამ დღეს დანიშნული იყო მარულა პრინცი ოლდენბურგის თაოსნობით ბევრი ცხენი და ცხენოსანი სხვადასხვა ადგილებიდან შეიკრიბნენ ქუთაისში მარულაში მონაწილეობის მიღებისათვის. მარულაზე დიდი ხალხი დაესწრო და გრილმა ტაროსმაც ხელი მოუწყო ამ სასიამოვნო სასარგებლო დროს გატარებას. მეოთხე და მესამე ჰენებაში (სულ ხუთი ჰენება იყო) გამარჯვება დარჩათ ყმაწვილებს: — თოთხმეტი წლის აფხაზმა და ცამეტი წლის მეგრელმა აიღეს პირველი პრიზები, ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: ჰკოცნიდნენ და ხელიდან ხელში გადაჰყავდათ ეს პატარა ბუმბერაზები. ეგებ ამაზე მიპასუხონ, პრიზს ცხენი იღებს და არა კაციო. მართალია, ცხენს დიდი მნიშვნელობა აქვს მარულაში, მაგრამ ერთი-ორად მეტს ნიშნავს ცხენოსნობის ცოდნა და ხერხი ჰენებისა. მეგრელი ბავშვის ცხენი ყველაზე მდარე იყო, გამარჯვება კი მეგრელს დარჩა“.

(„დროება“, 1885 წ. № 95).

„აგვისტოს 11-ს დაბა ძველი-სენაკში გამართა ჭიდაობა ამავე დაბის მცხოვრებმა ფალავანმა — ესებუამ... ურიცხვი მაყურებელი მოაწყდა. საჭიდაო ბულვარში იყო გამართული. ვერაფერი საშუალებით ვერ დაიმაგრეს ხალხი: ბილეთიანი და უბილეთო ერთნაირი გაბედულებით ეჯახებოდა ბულვარის კარ-ზღუდეებს, სამეგრელოს ყოველი დაბა-სოფლებიდამ და კუთხიდან მოგროვდნენ მაყურებელნი. ვიდა იშტვიდა მათ ხატუვ ალაგს, რომ უცბად ხალხში ხმა არ გავარდნილიყო „ესებუას აფიშაში გამოცხადებული ფალავნის ნაცვლად სხვა მოუწვევიათო“.

ჭიდაობა მაინც მოხდა...

(„დროება“, 1885 წ. № 178).

„უანგარიშო ხალხი მოაწყდა გუშინწინ გოდფრუას ცირკს, რადგან ჩვენი გამოჩენილი მოჭიდავის გლდანელის ჭიდაობა იყო გამოცხადებული. ის დაეჭიდა ერთს ბაქოს გუბერნიიდან ამისათვის საგანგებოდ ჩამოსულს კროს და ისიც ისე დაამარცხა, როგორც ბევრი სხვა ამისთანები. ძალიან მარჯვე ბიჭი კი უნდა იყოს, როგორც ეტყობოდა, ის კრო. ორჯერ წამოიღო გლდანელმა ზურგით და ორივეჯერ კატასავით ფეხზე დადგა. მესამეჯერ კი იმის მძლავრ სარმას ვეღარ გაუძლო, გულ-აღმა დაეცა და გლდანელი ზედ დააწვა, კიდევ აღარ წამოდგესო“.

(„დროება“, 1885 წ. № 265).

მოგვითხრობს საზღვარგარეთის ამბებზე

- ● ლ. დანეკი: „უახლოეს მომავალში ბადროს მტყორცნელები გადააბიჯებენ 70-მეტრიან ზღუდეს“.
- ● იაპონელ მოჭიდავეთა სიახლე.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები კუბაში

მოსკოვიდან კუბას გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს თავისუფლების კუნძულზე. გუნდის შემადგენლობაში არიან: ლ. კუდასოვი, ს. კრამარენკო, ვ. ანდრეიუკი, ნ. ანტონევიჩი, ვ. ჰელიძე, ვ. შტაპოვი, ვ. ლევჩენკო, ი. სავოსტიკოვი, ა. ილიადი, პ. სადიროვი, გ. ხართიშვილი, ლ. ადამოვი, ვ. პარკუიანი, ვ. ფედოტოვი, ე. ხუციშვილი, დ. ვეკუა, ს. მელქუმოვი, ა. ქუკოვი, ა. ესკოვი.

დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. გუნდის მწვრთნელები არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კაჩალინი და სპორტის ოსტატი ე. გორიანსკი.

„მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ 4 ნაკრების ყოველწლიური ტურნირის გარდა, რომელიც ივნისში ჩატარდება რიო-დე-ჟანეიროში, განზრახულია სხვა საინტერესო შეჯიბრების გამართვაც. ეს იქნება „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი“ 1967 წელს 12 გუნდის მონაწილეობით. 9 ადგილი დაეთმობა სამხრეთ ამერიკას, 3 კი ევროპის იმ გუნდებს, რომლებიც წარმატებით გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონატში 1966 წელს.

◆

იშვიათი ფაქტი

ინგლისური კლუბის „პორტსმუტის“ მოთამაშემ ჯ. დიქსონმა იშვიათი რეკორდი დაამყარა: თავის კლუბში 750-ე მატჩი ჩაატარა.

დიქსონი 39 წლისაა და „პორტსმუტში“ თამაშობს 1943 წლიდან. ამ დროიდან მოყოლებული, იგი არასდროს არ გამოსულა სხვა გუნდში. ეს იშვიათი შემთხვევაა ინგლისის პროფესიული ფეხბურთისთვის.

გზა რეკორდისკენ



სურათზე: ლ. დანეკმა ეს ეს არის დაამყარა მსოფლიოს რეკორდი.

ფოტო ჟურნალ „სტადიონისა“ (ჩეხოსლოვაკია).

წლევანდელი მძლეოსნური სეზონის საფინალო აკორდმა „სპორტის დედოფლის“ თაყვანისმცემლებს მრავალი სიამოვნება განაცდევინა. გამორჩეულთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიელი ბადროს მტყორცნელი ლუდვიკ დანეკიც. 12 ოქტომბერს სოკოლოვოში გამართულ შეჯიბრებისას ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა მსოფლიოში პირველმა გადალახა 65-მეტრიანი ზღვარი: მეხუთე ცდაზე მისი ბადრო გაფრინდა 65,22 მეტრზე. ამით დანეკმა 67 სმ-ით გადააცილა საკუთარ მსოფლიო რეკორდს, რომელიც დაამყარა ოლიმპიური თამაშების ცოტა ხნით ადრე. ამასთან, ამ დღეს მისი ყველა სხვა ნატყორცნიც დიდოსტატური კლასისა იყო: 60,20; 61,68; 63,71; 62,68 და 62,90.

მსოფლიოს რეკორდსმენი დაიბადა 1937 წლის 6 იანვარს სოფელ გორიცეში, ბრნოს მახლობლად, რომლის ერთ-ერთ ქარხანაში იგი ამჟამად ტექნოლოგად მუშაობს. დანეკს ბავშვობიდანვე უყვარდა სპორტი, განსაკუთრებით თხილამურებით რბენა. სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ მისგან კარგი მრბოლელი დადგებოდა. 1955 წელს ქვეყნის ჭაბუკ მოთხილამურეთა ჩემპიონატში დანეკმა საპრიზო ადგილი მოიპოვა 12 კილომეტრზე რბენაში.

მაგრამ 1957 წლის ზაფხულს, საგზაო კატასტროფის დროს, ლუდვიკმა ზურგის კუნთები დაიშავა. ექიმების დიაგნოზი უიმედო იყო: „სამუდამოდ დაემშვიდობება სპორტს“.

თვითონ დანეკი უხალისოდ ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ იბრძოდა გაჯანსაღებისთვის. მისი პასუხი ჩვეულებრივ მოკლეა: „ეს იოლი როდი იყო“. მაგრამ აი, გადის რაღაც 2 წელი და დანეკი ისევ სპორტულ სარბიელზეა — მართალია, ახალ ამპლუაში.

მომავალი მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნას გაეცნო ჯერ კიდევ არმიაში გაწვევამდე. უფროსი ძმის მაგალითისამებრ იგი ბევრჯერ შესულა სატყორცნ წრეში. 1959 წლის შემოდგომის ერთ დღეს უმცროსმა დანეკმა შეძლო 50 მეტრზე ეტყორცნა. ბადროს ტყორცნა მას უფრო და უფრო მოწონდა. ათლეტმა თავად გააკეთა შტანგა და რეგულარულად ვარჯიშობდა. ამას გარდა, იგი ყოველ საღამოობით დარბოდა გორიცედან 7 კილომეტრით დაშორებულ სპორტდარბაზში.

იოლი არ იყო დანეკის დაოსტატების გზა. ქარხანაში მუშაობდა, და, როგორც წესი, ნასადილევის ცვლას ღამისაზე ცვლიდა, რათა რამდენიმე საათი გადაენარჩუნებინა წვრთნისთვის.

1961 წლიდან დღემდე ჩეხოსლოვაკიელი ბადროს მტყორცნელი ვარჯიშობს იან ვრაბელთან, წარსულში ცნობილ სპორტსმენთან. ეს იყო მრავალმხრივი ფიზიკური და ტექნიკური მომზადების წლები.

აი, როგორი იყო, მაგალითად, ერთი საწვრთნელი დღის განრიგი ტოკიოში გამგზავრებამდე: ბადროს ათჯერ ტყორცნა ადგილიდან, ათჯერ — ბრუნით, თხუთმეტჯერ — საწონის გდება, ექვსჯერ — უროსი. შემდეგ შტანგითა და ორბირთვებით მუშაობა: ტრიალი (95 კგ, სამ სერიად), ვარჯიშები მკერდის კუნთებისთვის (10×7,5 კგ, ორ სერიად), 100-კილოგრამიანი შტანგის მკერდზე აწევა (ხუთჯერ, სამ სერიად), ჩაჯდომა (5×100 კგ, ოთხ სერიად), წოლიერა მდგომარეობიდან აჭიმვა (5×90 კგ, სამ სერიად).

— ყოველდღიურად სულ ცოტა სამ საათს ვვარჯიშობ, — ამბობს დანეკი, — მაგრამ როგორც კი დაღლილობას ვიგრძნობ, ერთი-ორი დღით ვისვენებ ხოლმე. სპორტსმენისთვის წვრთნა ხომ მუდამ სახალისო უნდა იყოს!

საერთაშორისო სარბიელზე დანეკი პირველად გამოვიდა 1962 წელს. მაშინ მისი ბადრო დაეცა 54 მეტრის ფარგლებში, მაგრამ უკვე შემდეგ წელს მან გადალახა 60-მეტრიანი ზღვარი. ოლიმპიური წლის მაისში ლუდვიკმა დაამყარა ევროპის რეკორდი, ხოლო აგვისტოში — მსოფლიოს რეკორდიც, რითაც, ბუნებრივია, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ინტერვიუ, გამოსვლები ტელევიზიით, ოლიმპიური პროგნოზები... ყოველივე ამას მიჩვევა უნდოდა, რაც არც ისე იოლი საქმე გამოდგა მორცხვი ბრნოელი გოლიათისთვის (დანეკის სიმაღლეა 193 სმ, წონა — 104 კგ).

— დიდებას აქვს ნეგატიური მხარეც, — გამოტყდა იგი. — მუდამ ყურადღების ცენტრში ხარ და ხალხი ყველა შეჯიბრებაში ელოდება შენგან მსოფლიო რეკორდს.

წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით იღბლიანი გამოდგა ლუდვიკისთვის: 60-მეტრიანი ზღვარი 25-ჯერ გადალახა! ამერიკელებთან ხუთ შეხვედრაში ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ოთხჯერ გაიმარჯვა, მათ შორის აშშ-ის ჩემპიონატშიც.

როგორია დანეკის მერმისის გეგმები? ლუდვიკს მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში ბადროს მტყორცნელები გადააბიჯებენ 70-მეტრიან ზღუდეს. თავად კი მას განზრახული აქვს კარგად მოემზადოს ევროპის 1966 წლის ჩემპიონატისა და მექსიკის ოლიმპიური თამაშებისთვის. ამ ორ შეჯიბრებას შორის კი სურს იერიში მიიტანოს მსოფლიოს რეკორდზე და იგი 66 მეტრამდე აიყვანოს.

ვ. ფროლკინი.

ნიღბები აკლიმატიზაციისათვის

იაპონელ სპორტსმენებს გადაწყვეტილი აქვთ მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში არ დათმონ პოზიციები, რომლებიც მათ თავიანთ სამშობლოში ჩატარებულ ოლიმპიადაზე მოიპოვეს.

ამის შესახებ ახლახან განაცხადა იაპონიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა ჟურნალისტებისთვის მიცემულ ინტერვიუში. კომიტეტის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ იაპონიის სპორტულმა ორგანიზაციებმა ამჟამად შექმნეს სპეციალური კომისია, რომელიც იკვლევს მექსიკაში გამოსასვლელად იაპონელ სპორტსმენთა რაც შეიძლება კარგი მომზადების ყველა შესაძლებლობას.

— თუ ტოკიოს ოლიმპიადაზე, — თქვა მან, — იაპონელ სპორტსმენთათვის საერთოდ არ არსებობდა აკლიმატიზაციის საკითხი, ახლა იგი ჩვენს წინაშე ყველაზე უფრო სერიოზულ პრობლემად დადგა.

ამ აზრს ეთანხმება იაპონიის ჭიდაობის ფედერაციაც, რომელმაც უკვე წარმოადგინა ზღვის დონიდან 2.250 მეტრზე (ამ სიმაღლეზე მდებარეობს ქალაქი მეხიკო-სიტი) გამოსვლისათვის სპორტსმენთა მომზადების კონკრეტული საშუალება.

შექმნილია სპეციალური ნიღბები, რომლებსაც სპორტსმენებს სახეზე უკეთებენ და რომლებიც დაახლოებით ისეთივე პირობებს ქმნიან, როგორიც მეხიკო-სიტიშია. იაპონელი მოჭიდავეები უკვე ახლავე შეუდგნენ ამ ნიღბებით წვრთნას (იხ. სურათი). ჭიდაობის ფედერაციის გამოგონებამ დააინტერესა სხვა სახეობათა, კერძოდ, მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის წარმომადგენლებიც.



რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 8-95-80, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-61.

ИНДЕКС 66148

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 12373